საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-09/38

ქ. ბათუმი 25 აგვისტო, 2015 წელი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მასწავლებელთა/უფროსმასწავლებელთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2010 წლის 9 ივლისის N73 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ში 2015-2016 სასწავლო წლისათვის საათობრივი ანაზღაურების წესით მასწავლებელთა და უფროს მასწავლებელთა შესარჩევად გამოცხადდეს კონკურსი;
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება უნივერსიტეტში კანცელარიული წესით იწარმოებს 2015 წლის10 სექტემბრის ჩათვლით;
3. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 13 სექტემბრამდე, ხოლო შედეგები გამოცხადდეს (გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე) არაუგვიანეს 2015 წლის 14 სექტემბრისა;
4. საპრეტენზიო განცხადებების მიღება კანცელარიული წესით იწარმოოს 2015 წლის 15 სექტემბერს, 10 საათიდან 15 საათამდე;
5. საპრეტენზიო განცხადებები განხილული იქნეს საკონკურსო კომისიების მიერ და საბოლოო შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2015 წლის16 სექტემბრისა;
6. ამ ბრძანების აღსრულების მიზნით დაევალოს ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს:
   ა) 2015 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით იმ სასწავლო კურსების (საგნების) განსაზღვრის შესახებ ბრძანებების გამოცემა, რომელთა წასაკითხად კონკურსის წესით მოწვეული უნდა იყვნენ მასწავლებლები/უფროსი მასწავლებლები და შესაბამისი ინფორმაციის ბსუ-ს ვებ-გვერდზე, ასევე საინფორმაციო დაფებზე განთავსება;
   ბ) 2015 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით წარმოადგინონ საკონკურსო კომისიის შემადგენლობა ბსუ-ს რექტორის სამართლებრივ აქტის გამოცემის მიზნით;

გ) 2015 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყონ დარგობრივი დეპარტამენტების მიერ გამარჯვებული კონკურსანტების საათობრივი დატვირთვის განსაზღვრის შესახებ მოხსენებითი ბარათების წარმოდგენა.

7. ბრძანება შესასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილების ქ. N30);
9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

ასოცირებული პროფესორი: **მ. ხალვაში**